შპს „აგრო პრაიმ“

ცოცხალი საქონლის სატრანზიტო ლოგისტიკური ცენტრის პროექტი

1. შესავალი
2. საქმიანობის აღწერა
3. საქმიანობის მახასიათებლები
4. პროექტის განხორციელების ადგილი
5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათი

შპს „აგრო პრაიმ“

თბილისი, ფალიაშვილის ქ. 90-92
ტელ: 595334463
ს/ნ 405293445
ელ. ფოსტა: info@agroprime.ge
www.agroprime.ge

1. შესავალი

შპს „აგრო პრაიმ“ დაფუძნდა 2018 წელს, ცოცხალი საქონლის სატრანზიტო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, რაც საშუალებას მისცემს მსხვილ საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებს როგორიცაა ავსტრალია, აშშ, სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, მიაწოდოს საქონელი საქართველოს გავლით კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებს.

მონაცემები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში N1:

ცხრილი N1

ობიექტის დასახელება:	შპს „აგრო პრაიმ“
ობიექტის მისამართი:	
ფაქტობრივი	ოზურგეთი, სოფ. ვაკიჯვარი (ლეკიანი)
იურდიული	თბილისი, ფალიაშვილის ქ. 90-92
საიდენტიფაკციო კოდი:	405293445
GPS კოორდინატები:	X: 4652128.730 Y: 5145688.435
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	გიორგი ძნელაძე
ტელეფონი:	595 334463
ელ-ფოსტა:	g.dzneladze@agroprime.ge
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე:	1.16 კმ
ეკონომიკური საქმიანობის სახე:	ცოცხალი საქონლის ლოგისტიკური ცენტრი

2. საქმიანობის აღწერა

კომპანია მის მომხმარებელს შესთავაზებს ცოცხალი საქონლის ტრანსპორტირებისთვის კომპლექსურ ლოგისტიკურ მომსახურეობას, რომელშიც შედის:

- ცოცხალი საქონლის მიწოდების შესაძლებლობა ავსტრალიიდან, აშშ, სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებიდან
- ბათუმის პორტში სპეციალური გემით მიღება, გადმოტვირთვა
- ჩვენს სატრანზიტო ლოგისტიკურ ცენტრში გადაყვანა და მოსასვენებლად დაბინავება,
- ვეტერინარული მომსახურეობა, სერტიფიცირება,
- საკუთარი სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირება
- დანიშნულების ადგილზე ჩაყვანა კავკასიის, შუა აზიის ქვეყნებში და ირანში.

საერთაშორისო რეგულაციების მიხედვით, ცოცხალი საქონლის გრძელვადიანი ტრანსპორტირებისას აუცილებელია გარკვეული პერიოდულობით მათი დასვენება, რაშიც იგულისხმება სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოყვანა, სპეციალურად მოწყობილ ტერიტორიაზე განთავსება და საკვებისა და წყლის მიწოდება, ამიტომ ოზურგეთის რაიონში იქმნება ცოცხალი საქონლის სატრანზიტო ლოგისტიკური ცენტრი, სადაც მოხდება ბათუმის პორტში შემოსული პირუტყვის გადმოყვანა, სასმელი წყლისა და საჭმლის მიწოდება,

დასვენება, ზედამხედველობა და რამოდენიმე დღეში საბოლოო დანიშნულების ადგილისკენ გაშვება.

ჩვენ ასევე გვექნება 35 ცალი სატრანსპორტო კონტეინერი რომელიც სპეციალურად მოეწყობა საქონლის გადასაზიდად, რითაც მოხლება საქონლის ტრანსპორტირება.

3. საქმიანობის მახასიათებლები

საქონელი ძირითადად შემოვა ავსტრალიიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იქნება საჯიშე და მეხორცული ჯიშის საქონელი (ჰერეფორდისა და ანგუსის ჯიშები), უმეტეს შემთხვევაში დეკეული/მოზვერი (არაზრდასრული საქონელი)

პროცედურულად საქმიანობის მოკლე აღწერა არის შემდეგნაირი (მაგალითად 2000 თავი საქონელი, მარშრუტი ავსტრალია-ყაზახეთი):

- ყაზახეთის ფერმამ შეიძინა ავსტრალიაში 2000 თავი საქონელი, რომელმაც გაიარა შერჩევისა და შემდგომ კარანტინის პროცედურები ავსტრალიაში.
- არჩეული საქონელი დაიტვირთა სპეციალიზირებულ გემზე და წამოვიდა საქართველოსკენ.
- გემი შემოვიდა ბათუმის პორტში და პორდაპირ გემიდან ჩაიტვირთა ჩვენს სატრანსპორტო საშუალებებზე, რითაც მოხდა ჩვენს ლოგისტიკურ სატრანზიტო ცენტრში გადაყვანა.
- ლოგისტიკურ ცენტრში გადაყვანილი საქონელი ჩამოიტვირთა, გაიარა დათვალიერება, განაწილდა სადგომებში და მოხდა მათი გამოკვება/დაწყურება.
- ტერიტორიაზე ყოფნის დროს, საქონელი მუდმივად ზედამხედველობის ქვეშ არის და აქვს წვდომა წყალზე და საკვებზე.
- მეორე-მესამე დღეს დასვენებული საქონელი (1000 ცალი) დაიტვირთა ჩვენს კონტეინერებზე და დაიძრა ყაზახეთისკენ.
- რამოდენიმე დღეში, მანქანები ჩავიდნენ ყაზახეთში, ჩაიყვანეს პირველი პარტია (1000 თავი) დანიშნულების ადგილზე, დაცალეს და გამობრუნდნენ უკან
- ლოგისტიკურ ცენტრში მობრუნებული კონტეინერები, ხელმეორედ დაიტვირთნენ და დარჩენილი 1000 თავიც დაიძრა დანიშნულების ადგილისკენ (ყაზახეთისკენ)
- ავტომანქანები ცარიელი კონტეინერებით, მეორე რეისის შემდეგ მობრუნდებიან და მოხდება კონტეინერების ჩამოცლა და განთავსება ჩვენს ტერიტორიაზე.

აღნიშნული პროცედურები არის ის ძირითადი საქმიანობა რაც განხორციელდება ჩვენს სატრანზიტო ლოგისტიკურ ცენტრში.

დასაწყისისთვის ობიექტზე დასაქმებული იქნება მუდმივად ხუთი ადამიანი, ერთი ლოგისტიკური ცენტრის მენეჯერი და ოთხი დაცვის თანამშრომელი, მენეჯერის სამუშაო გრაფიკი იქნება 10:00-დან 19:00 საათამდე, დაცვის თანამშრომლები კი იმორიგეებენ მონაცვლეობით ისე რომ ტერიტორიაზე 24 საათის განმავლობაში იქნება ერთ-ერთი მათგანი.

საქონლის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში, დაემატება დროებითი თანამშრომლები, 5-10 ადამიანი, ვინც უზრუნველყოფს საქონელზე ზედამხედველობას, საკვების სადგომებში შეტანასა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვას.

3.1 საქმიანობის მასშტაბი - მიმდინარე გაანგარიშებით, მოსალოდნელია:

- წელიწადში 5 გემის მიღება,

- თითოეული გემი საშუალოდ 3000 თავი საქონლის ტევადობით.

- არსებულ სატრანზიტო ლოგისტიკურ ცენტრში მიღებული ცხოველების გაჩერება საშუალოდ 5 დღით მოხდება.

- წლის განმავლობაში ლოგისტიკურ ცენტრში შემოსული საქონლის რაოდენობა იქნება დაახლოვებით 15,000 თავი

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ, ზემოთაღნიშნული ჯიშებისთვის მაღალი სიცხის დროს ტრანსპორტირება, რეკომენდირებული არ არის, ამიტომ გემების მიღება ძირითადად მოხდება ოქტომბრიდან მაისამდე პერიოდში, ამიტომ ზაფხულის სეზონზე ჩვენი საქმიანობაც შეჩერებული იქნება.

3.2 არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება - არსებულ სატრანზიტო ლოგისტიკურ ცენტრს, მიენიჭება საბაჟო საწყობის სტატუსი, კონკრეტულად ცოცხალი საქონლისთვის, ამიტომ სხვა საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება.

3.3 ბუნებრივი რესურსების გამოყენება - ტერიტორიაზე იარსებებს ჭაბურღილი, რომელიც გამოიყენება საქონლისთვის სასმელი წყლის მიწოდების მიზნით, წლიური მაქსიმალური მოზმარება (ლიცენზიის მიხედვით) იქნება 15,000 კუბური მეტრი, საქონლის კვება მოხდება ძირითადად შეძენილი თივით, თუმცა ტერიტორია ნაწილობრივ საძოვარადაც გამოიყენება.

3.4 ნარჩენების წარმოქმნა - ტერიტორიაზე ყოფნის განმავლობაში, საქონლისგან წარმოიშვება ბიოლოგიური ნარჩენები (ნაკელი), საშუალოდ ერთი თავი საქონელი, დღეში 10 კგ ნაკელს გამოჰყოფს, წლიური მაჩვენებელი ნარჩენებისა, კი ჩვენი პროგნოზის მიხედვით იქნება 750 ტონა. ტერიტორია სადაც საქონელი იქნება გაშვებული, აღემატება 15 ჰექტარს, ამიტომ ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით, გამოყოფილი ნაკელის რაოდენობა წლიურად არ აღემატება 50 ტონას. გასათვალისწინებელია ისიც რომ საქონელი ამ ტერიტორიაზე მუდმივად განთავსებული არ იქნება, მათი შემოყვანა მოხდება პერიოდულობით, ძირითადად 2-3 კვირის გამოტოვებით, ზაფხულის სეზონზე შესაძლო 4-6 თვის გამოტოვებითაც კი.

3.4 გარემოს დაბინძურება და ხმაური - გარემოს დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს საქონლისგან გამოყოფილმა ნაკელმა მაგრამ რადგანაც ტერიტორიაზე საქონელი განთავსებული იქნება არა მუდმივად არამედ მცირე ხნით და პარტიებად, ასევე ზაფხულში რამოდენიმე თვიანი შესვენების შესაძლებლობით, ტერიტორიიდან ნაკელის გატანა არ იგეგმება. ამასთანავე, მიმდინარე კანონმდებლობით, წარმოქმნილი ნაკელის ტერიტორიიდან გატანის ვალდებულება არ არსებობს და ზოგ შემთხვევაში დაუშვებელიც კი არის.

თეორიულად, წარმოქმნილი ნაკელის სრულიად გატანა ტერიტორიიდან შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მიწის ზედა ფენის აღება, რამაც შეიძლება უფრო ცუდად იმოქმედოს ნიადაგზე და უფრო ხელი შეუწყოს ტერიტორიის დაჭაობებასა და დაბინძურებას შემდგომი პარტიებისთვის.

საჭიროების შემთხვევაში, თუ გამოჩნდა რომ დაგროვილი ნაკელი ანტისანიტარიულ გარემოს ქმნის სადგომებში, ტერიტორიაზე გამოიყოფა ადგილები, სადაც მოხდება ნაკელის ერთად მოგროვება იმ რაოდენობით რაც შესაძლებელი იქნება მიწის ზედა ფენის დაზიანების გარეშე და მოხდება მისი ბიოპრეპარატებით ადგილზევე დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს ნაკელის გამოწვის დაჩქარებასა და სუნის მოშორებას.

ტერიტორიაზე შემოსული საქონელი იქნება სრულიად ჯანმრთელი კარანტინ გავლილი და დაავადებებისაგან თავისუფალი.

ტერიტორიაზე განთავსების დროს, საქონელი წარმოშობს ხმაურს, რაც შესაძლოა შემაწუხებელი იყოს ადამიანებისთვის, მაგრამ იმის გათვალისწინებით რომ, ჩვენი სატრანზიტო ლოგისტიკური ცენტრი უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 1კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული, ამასთანავე ზაფხულში არ იქნება საქონელი განთავსებული, ხმაურით ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და სტუმრების შეწუხება მინიმალური იქნება.

3.5 საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი - არ არსებობს

4. პროექტის განხორციელების ადგილი

ლოგისტიკური სატრანზიტო ცენტრი განთავსებული იქნება ოზურგეთის რაიონში, სოფელი ვაკიჯვარი (ლეკიანი), ოჯარით აღებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებზე, რომელთა საერთო ფართობი არის 160,914 კვ.მ.

ნაკვეთების საკადასტრო კოდებია :

26.36.06.029, 26.36.06.031, 26.36.06.032, 26.16.12.054, 26.21.09.106, 26.36.07.031

ტერიტორია მოშორებულია დასახლებული პუნქტებისგან 1000 მეტრზე მეტი მანძილით. პერიმეტრი სრულიად შემოღობილი იქნება სპეციალური ელექტრო ღობეებით რომელიც ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს მაგრამ დაიცავს ტერიტორიაზე განთავსებულ საქონელს ადგილობრივ საქონელთან კონტაქტისგან.

ტერიტორიის შესასვლელი მონაკვეთი (40მ-60მ) იქნება მიმღები ზონა, სადაც მოეწყობა ძირითადი ინფრასტრუქტურა. მოხდება მიწის ზედა ფენის (10-15 სმ) აღება რომელიც იქვე გადასწორდება და ამ ტერიტორიაზე დაიყრება ხრეში, ღორღი რათა მანქანებმა თავისუფლად იმოძრავონ და მოხდეს საქონლის შემოყვანა, დაცლა/დატვირთვა.

აქვე განთავსდება ჩვენი საქონლის გადაზიდვისთვის მოწყობილი კონტეინერები, ჭაბურღილი, ერთი კონტეინერი გადაკეთებული ოფისად და ტუალეტი (რომლის ქვმოთაც გაითხრება ორმო და მოხდება მისი რეგულარურად ამოწმენდა/ასინიზაცია), აწვე ტერიტორიის შესასვლელთან დაიდგმება ნაგვის ურნა, რომლის რეგულარურ გატანასაც უზრუნველყოფს მუნიციპალური დასუფთავების სამსახური.

ნაკვეთების მიმდებარედ, გზამდე მოყვანილი არის ელექტროენერგიის ბოძები, საიდანაც მოხდება ელ. ენერგიის შეყვანა.

ტერიტორიაზე იქნება მოწყობილი 18 ცალი საქონლის იზოლირებული ღია სადგომი, ინდივიდუალური საკვებურებითა და წყლის ავზებით აღჭურვილი.

საკვებურებისა და წყლის ავზების გარშემო, მოხდება ტერიტორიის ზედაპირის ხრეშით მოსწორება ან დაბეტონება, რადგან ამ ადგილებში მოხდება უმეტესად საქონლის შეგროვება და რომ იყოს უფრო სუფთად და მშრალად.

ტერიტორიაზე არსებობს მოწყობილი სამელიორაციო სისტემა, პერიმეტრზე სამელიორაციო არხების გაწმენდა უკვე შესრულდა, შიგნით კი იგეგმება ორდნატების (მცირე არხების) გაწმენდა, დასუფთავება, რომლებიც განთავსებულია ყოველ 30 მეტრში, ამ ორდნატებს შორის კი არის შემაღლებული ადგილები რაც ტერიტორიის მშრალად შენახვას უწყობს ხელს.

ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო არხებიდან, წყალი ჩაედინება ნაკვეთების ბოლოში (უკანა მხარეს) გამავალ დიდ არში, რომელიც ჩამოედინება ოზურგეთის რაიონის მიმდებარე დასახლებული პუნქტებიდან და დაახლოვებით 500 მეტრის მოშორებით უერთდება მდინარე ჩოლოქს, რაც შემდგომში შეუერთდება მდინარე ნატანებს.

აღნიშნილი ტერიტორიის რელიეფიდან გამომდინარე, საქონლის სადგომები ისე არის დაპროექტებული რომ თითოეული სადგომში, შუა ნაწილში იქნება შემაღლებული ადგილი კიდეებში კი დახრილობა, რომლის ბოლოსაც, არსებული სამელიორაციო ორდნატების (მცირე არხების) გაწმენდა მოხდება, რაც ხელს შეუწყობს სადგომებიდან წყლის გადინებას და შედარებით მშრალად ყოფნას.

აღნიშნული ტერიტორია არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ამიტომ სრულიად თავსებადია პროექტის საქმიანობასთან.

გარშემო არის ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშმულების კერძო საკუთრებაში არსებული მიწები, რომლის დამუშავება, გაკულტურება ან სასოფლო სამეურნეო მიზნებით გამოყენება ამჟამად არ ხდება.

განვიხილოთ პროექტის თავსებადობა შემდეგი სახის ტერიტორიებთან:

4.1 ჭარბტენიანი ტერიტორია - ცნობილია რომ ჭარბტენიანი ტერიტორიები ფართოდ გამოიყენება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საძოვრებად, არსებული ტერიტორია საკმაოდ ტენიანია თუმცა არა ჭაობიანი და არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის პროექტის საქმიანობასთან

4.2 შავი ზღვის სანაპირო ზოლი - სატრანზიტო ლოგისტიკური ცენტრი შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან 1.5 კმ-ის მოშორებით მდებარეობს, რაც პროექტის საქმიანობიდან გამომდინარე არ წარმოქმნის პრობლემას.

4.3 ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები - ტერიტორიასთან სიახლოვეში არ არსებობს

4.4 დაცული ტერიტორია - ტერიტორიასთან სიახლოვეში არ არსებობს

4.5 მჭიდროდ დასახლებული ტერიტორია - ლოგისტიკური სატრანზიტო ცენტრიდან პირველი დასახლებული პუნქტი იწყება 1000 მეტრის მოშორებით, მჭიდრო დასახლებები კი 1.5 კმ-ის შემდეგ

4.6 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და სხვა ობიექტები - ტერიტორიასთან სიახლოვეში არ შეიმჩნევა